

რა არის სიცოცხლე?

ამ გაკვეთილში თქვენ შეისწავლით:

- რატომ ღავიბადეთ?
- რით ვაძსგავსებით ჩვენ ღგერთს?
- რით განვსხვავდებით ღგერთისაგან?
- როგორი გსურთ, რომ იყოთ?
- როგორ უნდა გაიგოთ, რომ თქვენ ღგერთის "გვილი ხართ?"

ნაწილი I

რატომ ღავიბადეთ?

თქვენ უნდა იცოდეთ

რას იფიქრებდით ისეთ ადამიანზე, რომელიც ცდილობს ქვაბის ნაცვლად იხმაროს ჭილის ქუდი, ხოლო ჩაქუჩის ნაცვლად მინის ბოთლი? რას იფიქრებდით ადამიანზე, რომელიც გაღევედა წუთისოფელს და ვერ გაიგებდა, რა მიზანი ჰქონდა მის სიცოცხლეს?



ვიდრე ჩვენ არ დავიწყებთ მიზანდასახულ ცხოვრებას იმისათვის, რისთვისაც შექმნილ ვიქენით, მანამ მსგავსი

ვიქნებით ცეცხლზე შედგმული ჭილის ქუდის, ან ბოთლის ჩაქუჩის როლში, ჩვენ ვასახიჩრებთ საკუთარ თავს არასრულფასოვანი ცხოვრებით.

ღმერთს გააჩნია მიზანი და გეგმა თქვენი ცხოვრებისათვის, მას თქვენთვის აქვს განსაზღვრული საქმე აქ - დედამიწაზე, ხოლო ზეცაში მოგიმზადათ საუცხოო სავანე. თქვენ დაბადებული ხართ, რათა ღვთიური გეგმის თანამონაწილე იყოთ.

თქვენ დაიბადეთ, რათა იყოთ ღვთის შვილი

თქვენ უკვე იცით, რომ შექმნილი ხართ იმისათვის, რათა იწოდოთ ღვთის შვილად, დატკბეთ მისი სიყვარულით და მითვე უბასუხოთ. რა მალალ საფეხურსაც არ უნდა მიაღწიოთ ცხოვრებაში, თუ კი არა გაქვთ კავშირი ღმერთთან, ეს ნიშნავს, რომ არ გაგაჩნიათ ცხოვრების ძირითადი მიზანი.

ფსალმუნი 15:11. *მასწავლე გ ზა ცხოვრებისა, სისავსე სიხარულისა შენი სახის წინაშე, ნეტარება შენი მარჯვენით-უკუნისამდე.*

თქვენ დაიბადეთ, რათა დაიხვეწოთ ღვთის მსბავსებაში

თქვენთვის, როგორც ღვთის შვილისათვის, ცხოვრება წარმოადგენს უკვდავებისათვის მოსამზადებელ სკოლას. თქვენი ცხოვრებისეული პრაქტიკა, ეს არის მომზადება ღვთის სასუფეველისათვის. სიძნელენი და ყოველგვარი შეჭირვება, გადატანილი თქვენს მიერ, გამოსახავს თქვენში მოთმინებას, რწმენას და მორჩილებას, რომელიც დაგეხმარებათ სულიერ მომწიფებაში, რის შედეგადაც უფრო მეტად დაემსგავსებით თქვენს ზეციერ მამას. დაე უფალმა მოგმადლოთ, რომ შეძლოთ იმოღვაწეოთ მისთვის ამ ქვეყნად და მომავალში.



2 ტიმ. 2:12. თუ მოვითმენთ, მასთან ერთად ვიმეფებთ კიდეც.

თქვენ დაიბადეთ, რათა იმოკლდეთ ღმერთთან ერთად

თქვენ დაიბადეთ განსაზღვრულ ადგილზე, რათა ოჯახისათვის იყოთ კურთხევა, გამოადგეთ საზოგადოებას, სამშობლოს და ქვეყანას. ღმერთს სურს, რომ ემსახუროთ და იმოქმედოთ მასთან ერთად, ის დაგეხმარებათ მიიყვანოთ ადამიანები იესო ქრისტესთან - საუკეთესო, აღმატებულ ცხოვრებაში.



ეფესელთა 2:10. ვინაიდან მისი ქმნილებანი ვართ, ქრისტე იესოში შექმნილი კეთილი საქმეებისათვის, რომლებიც წინასწარ დაგვიმზადა ღმერთმა, რათა ამ საქმეებში ვიაროთ.

დაკალეზა

● ღმერთმა მომცა სიცოცხლე, რათა შევძლო: მისი _____, დავიხვეწო მის _____ და _____ მასთან ერთად, როგორც მისი თანაზიარი.

შეეკითხეთ საკუთარ თავს:

- მოსაწონია თუ არა ღვთისათვის ჩემი ცხოვრება?
- აღვიქვამ თუ არა შეჭირვებას და სიძნელეს, როგორც ხასიათისა და მოთმინების გამოძუმშავების საშუალებას?
- ვცდილობ თუ არა სხვების დახმარებას?
- როგორ ვცხოვრობ: როგორც ადამიანი, რომლისთვისაც ყველაფერი სიკვდილით მთავრდება, თუ ისე ვუყურებ ჩემს ცხოვრებას, როგორც მარადისობისათვის მოსამზადებელ პროცესს?

- ვხარობ თუ არა ღმერთთან ურთიერთობით?
- ვმოქმედებ ღმრთის გეგმით სახლში და საზოგადოებაში?

ნაწილი 2

რით ვმსგავსებით ჩვენ ღმერთს?

ღმერთმა მოგვცა მისი მსგავსების სული

ღმერთმა ადამი შექმნა მტვრისაგან და გამოყო ყველა სხვა მიწიური ქმნილები-საგან და შთამომავლობით გადმოგვცა ამქვეყნიური თვისებები. ადამის შინაგანი ცხოველმყოფელობა, მისი სული, წარმოიქმნა ღმერთის სუნთქვისაგან. ადამის სული მრავალმხრივ ემსგავსება ღმერთის სულს.

იხსავლათ:

დაბადება 1:26, 2:7. და თქვა ღმერთმა: გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსებად... და გამოსახა უფალმა ღმერთმა კაცი მიწის მტვრისაგან, და შთაბერა მის ნესტოებს სიციცხლის სუნთქვა და იქცა ადამი ცოცხალ არსებად.



ღვთის მსგავსება მრავალმხრივ ვლინდება ჩვენში

განსაკუთრებული სული გვანსხვავებს ჩვენ ცხოველებისაგან; მას ადამიანის არსებაში ღვთის მსგავსებას ვუწოდებთ.

თქვენ შეგიძლიათ დაინახოთ ღვთის

მსგავსება თქვენს პიროვნებაში:

● მორალურ ბუნებაში-კეთილისა და ბოროტის შემეცნება.

● ესთეტიკის შეგრძნებაში-სილამაზისადმი ლტოლვა.

● ინტელექტში-ჭეშმარიტების შეცნობის სურვილი, აზროვნების უნარი, საუბარი და ურთიერთობა.

● სულიერ ბუნებაში-ღმერთთან ურთიერთობის უნარი და სურვილი მისი მსახურებისა.

● შემოქმედებით ბუნებაში-გარშემო მყოფი სამყაროს გამრავალფეროვნება. ადამიანი აგებს ცათამბჯენებს, არხებს, იყენებს ელექტროენერგიას, იგონებს მანქანებს შრომის შესამსუბუქებლად; ქმნის შედეგებს მუსიკაში, ფერწერაში, არქიტექტურაში, ლიტერატურაში და ხელოვნების სხვა დარგებში.

ყოველივე ეს გამომდინარეობს ბუნებიდან, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ცხოველურისაგან, ეს კი იმაზე მიგვითითებს, რომ ჩვენ დავიბადეთ, რათა ვიყოთ ღმერთის შვილები და რომ ჩვენ ცხოვრებას გააჩნია გარკვეული მიზანი.

დავალება

● სული, რომელიც შთაბერა ღმერთმა ადამიანს, წარმოადგენს მისი _____ ანარეკლს და განგვასხვავებს _____

● ადამიანი ემსგავსება ღმერთს მისი ბუნებით: სილამაზის ტკობით ანუ _____, აზროვნების უნარით ანუ _____, გამოგონებებით ანუ _____ ბუნებით, კეთილისა და ბოროტის შემეცნებით ანუ _____ ბუნებით, ღვთის ძიებით ანუ _____ ბუნებით.

დავუფიქრდეთ, თუ რაოდენ განგვასხვავებს ყველაფერი ზემოთქმული ცხოველური სამყაროსაგან. ნებისმიერი რამ შეიძლება ავილოთ მაგალითად ყოველდღიური ცხოვრებიდან. წარმოიდგინეთ ცხოველი, რომელიც ეცდება გააკეთოს ის, რასაც აკეთებს ადამიანი, მაგალითად მაიმუნმა დაწეროს პოემა, ან ლორმა გამოიგონოს თვითმფრინავი და იფრინოს. სიბეცეა, რა თქმა უნდა! ადამიანი მრავალ იდეათა მფლობელია, რომელიც არ გააჩნია ცხოველებს. მადლობა ღმერთს ყველა იმ ნიჭისათვის, რომელიც გვარგუნა მის დასამსგავსებლად.

ნაწილი 3

რით განვსხვავდებით ღვთისაგან?

ჩვენ გვაქვს ფიზიკური სხეული

ღმერთი უსასრულო, მარადიული და ყოვლისშემძლე სულია. ის არ არის შემოსაზღვრული დროითა და სივრცით. იგი არასოდეს არ მოკვდება. ჩვენი სული ცხოვრობს სხეულში, რომელსაც გააჩნია გარკვეული ძალა, შეუძლია იყოს ერთ ადგილზე კონკრეტულ მომენტში, ხოლო მისი ბოლო-სიკვდილია. მიუხედავად ამისა, იგი საუცხოო ღვთიური ჭილდოა, სხეულის მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია ვემსახუროთ ღმერთს იმგვარად, როგორაც შეუძლებელი იქნებოდა გაგვეკეთებინა სულში. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ საკუთარ სხეულზე, რადგან იგი სულის საცხოვრისი და ღვთისათვის საჭირო ტაძარია.

1 კორინთელთა 6:19,20. ნუთუ არ იცით, რომ თქვენი სხეულები ტაძარია თქვენში სულიწმიდისა, რომელიც ღვთისაგან გაქვთ, და რომ თქვენს თავს არ ეკუთვნით?.. ამიტომ აღიდეთ ღმერთი თქვენი სხეულით და თქვენი სულებით, რომლებიც ღვთისანი არიან.



ზოგიერთი ადამიანი ცდილობს თავის საქმეთა სიმძიმე დააბრალოს სხეულს. ისინი თრგუნავენ საკუთარ სხეულს, რათა უკეთესად გამოიყურებოდნენ. თქვენი სხეული წარმოადგენს ინსტრუმენტს-გადაწყვეტეთ რაიმეს გაკეთება, ხოლო სხეული შეასრულებს. იგი შეგიძლიათ გამოიყენოთ კეთილი ან ბოროტი საქმისათვის, სატანისათვის ან ღმრთისათვის.

რომაელთა 12:1. შესწირეთ თქვენი თავი ცოცხალ და წმიდა, ღვთისათვის სასურველ მსახურებად-თქვენი გონივრული მსახურება.



თქვენ უნდა აკონტროლოთ საკუთარი თავი. შეიძლება მონა კარგი იყოს, მაგრამ თუკი ბატონია ცუდი, მაშინ ფიზიკური მისწრაფებები წარმოჩნდება მის ცხოვრებაში. შესაძლებელია თქვენ გახდეთ მავნე ჩვევების მონა, რომელიც ჯანმრთელობის დამანგრეველია; ჩვევებისა, რომელიც გაიძულებთ ჩაიდინოთ ბოროტებითა და ცოდვით აღსავსე საქმეები. როდესაც თქვენ უფულებელყოფთ სულიერ სამყაროთა მოთხოვნილებას და ცხოვრობთ მხოლოდ საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, თქვენში სულ უფრო მცირდება ღვთიური მსგავსება.

ცოდვა ულის თქვანს ბუნებას

•• ცოდვა ამსხვრევს ჩვენში ღვთის მსგავსებას. მას შემდეგ, რაც ღმრთის მიზანის უგულვებელყოფით წარმართავენ თავიანთ ცხოვრებას, ადამიანები სულ უფრო მეტად ბოროტდებიან.



გალატელთა 5:19-21. ხორცის საქმეები აშკარაა: ეს არის სიძვა, უწმინდურება და თავაშვებულობა, კერპთმსახურება, მისნობა, მტრობა, ჩხუბი, შური, რისხვა, შუღლი, უთანხმოებანი, მწვალებლობა, სიძულვილი, მკვლელობა, ლოთობა, გაუმაძღრობა და სხვა ასეთი. გეუბნებით წინასწარ, როგორც აღრე მითქვამს, რომ ამის ჩამღენნი, ღვთის სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებენ.

საკუთარი ძალებით შეუძლებელია ასიაგონო ღმერთს

ღმერთმა ჩვენ მოგვამზადა კეთილი მიზნისათვის, რომლის მიღწევაც შეუძლებელია მის დაუხმარებლად. როგორადაც არ უნდა ვეცადოთ, არასოდეს არ გვეყოფა ძალა, რომ აღვასრულოთ მისი ნება. მან უნდა გარდაგვქმნას ჩვენ.



რომაელთა 7:18-20. ვინაიდან ვიცი, რომ ჩემში, ესე იგი, ჩემს სხეულში, არ იმყოფება კეთილი; ასე რომ, სურვილი არის ჩემში, მაგრამ კეთილის კეთება არა. ვინაიდან არ ვაკეთებ კეთილს, რომელიც მსურს, არამედ ვაკეთებ ბოროტს, რომელიც არ მსურს... მე კი აღარ ვაკეთებ, არამედ ცოდვა, რომელიც ჩემშია დამკვიდრებული.

ჩვენ ისე დავუმორღით მის მსბავსებას, რომ საჭიროა ხელახლა გავიაროთ დაბადების პროცესი

შეუძლებელია გარდაიქმნე მხოლოდ

ეკლესიის წევრად გახდომით ან კეთილი საქმეების კეთებით. ამ დროს აუცილებელია ღმრთიული ჩარევა. თუ თქვენ მას დართავთ ნებას, იგი წარმოგზავნის სულიწმიდას, რათა აღადგინოს მისი მსგავსება თქვენში. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებთ ემსახუროთ მას.

დაკლუბა

ხელახლა წაიკითხეთ ეს განყოფილება და აღნიშნეთ ის პუნქტები, რომლითაც თქვენ განსხვავდებით ღვთისაგან. ხაზი გაუსვით ყველა წინადადებას, რომელიც გამომხატველია იმისა, რაც არ უნდა გააკეთოთ ცხოვრებაში.

● ჩვენი სხეული, ეს ღმრთის საუცხოო

● უფრო ნაკლებად ვემსგავსებით უფალს, როდესაც ნებას ვართავთ, იბატონოს ჩვენზე.

● შეგვიძლია თუ არა ვასიამოვნოთ ღმერთს მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით? _____

ნაწილი 4

როგორი ბინლათ, რომ იყოთ?

თიხის ნაჭერი შეიძლება იყოს მხოლოდ უმგვანო ნაგლეჯი ან მშვენიერი ნაკეთობა. შედეგი დამოკიდებულია პატრონზე და მეთიხე ხელოსანზე.

ადამიანური ბუნება, რომელიც განაგებს საკუთარ თავს, მისწრაფის გაუკუღმართებისაკენ. ის ხდება გარყვნილი აზროვნების და მსგავსი მოქმედების ნაწილი. მიუხედავად ამისა, ღმრთის ხელში, ისე როგორც მეთიხე ხელოსნისაგან, თქვენი ცხოვრება შეიძლება შეიქმნეს სილამაზისა და ნაყოფიერი ცხოვრების ნიმუშად.

რომაელთა 12:2. და ნუ დაემსგავსებითამ წთისოფელს, არამედ შეიცვალეთ თქვენი გონების განახლებით, რათა შეიცნოთ რა არის ღვთის ნება-კეთილი, სასურველი და სრულყოფილი

დავალება

- გსურთ თუ არა, რომ ღმერთმა ხელახლა გშვათ? _____ სთხოვეთ ამის შესახებ.
- თუ თქვენ უკვე ქრისტიანი ხართ და გსურთ განთავისუფლდეთ ნაკლოვანებებისაგან-უფრო მეტად დაემსგავსოთ ღმერთს, მაშინ უთხარით მას ამის შესახებ და სთხოვეთ, რომ დაგეხმაროთ.

ნაწილი 5

როგორ უნდა გაიგოთ, რომ თქვენ ღვთის უპილი ხართ?

იმ მომენტში, როდესაც თქვენ იესო ქრისტე მიიღეთ, როგორც პირადი მხსნელი, ღმერთმა გიბოძათ თავისი უვილობა. ამას შეიგრძნობთ სამი გზით:

- სიტყვიდან, რომელიც ამოწმებს ამის შესახებ.
- შინაგანი მოწმობით, სულის მეოხებით

- ცხოვრების წესის შეცვლით.



1 იოანე 5:10:12. ღვთის ძის მორწმუნეს თავის თავშივე აქვს მოწმობა, რომ ღმერთმა მოგვანიჭა საუკუნო სიცოცხლე და სიცოცხლე მის ძეშია. ვისაც ძე ჰყავს, აქვს სიცოცხლე.

რომაელთა 8:16. სწორედ ეს სული ემოწმება ჩვენს სულს, რომ ღვთის შვილები ვართ.

1 იოანე 3:14. ჩვენ ვიცით, რომ სიკვდილიდან სიცოცხლეში გადავედით, რადგან გვიყვარს ძმები.

ღაკალუბა

- მიიღეთ თუ არა იესო ქრისტე, როგორც პირადი მხსნელი? _____
- ხართ თუ არა ღვთის შვილი? _____
- დარწმუნდით ზემოთ თქმულის შესახებ ღვთის სიტყვის საშუალებით. მაღლი შეასხით უფალს, რომ შეგქმნათ მის მსგავსად.

გილოცავთ მესამე გაკვეთილის დამთავრებას.

გაეცით პასუხები მესამე გაკვეთილის კითხვებს პასუხების განყოფილებაში.

დაე ღმერთმა უზვად გაკურთხოთ მეოთხე გაკვეთილის შესწავლის დროს.

